



სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელ ცხოველთა დაცვის ევრო კონვენცია

სტრაზბურგი, 10.III. 1976

ევროსაბჭოს წევრი ქვეყნები ხელს აწერენ შემდეგს,

განიხილონ და მიიღონ ერთიანი პირობები სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოსაყენებელ ცხოველთა დაცვისათვის, კერძოდ თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემებში,

და შეთახმდენ შემდეგზე:

თავი I – ძირითადი პრინციპები

სტატია 1

კონვენცია ეხება ცხოველთა მოვლა-პატრონობასა და შენახვას, კერძოდ იმ ცხოველებისა, რომლებიც იმყოფებიან თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემების პირობებში. ამ კონვენციაში განიხილულია ცხოველთა ჯიშები ან მათი შენახვა საკვების, მატყლის, ტყავის ან ბეწვის წარმოების მიზნით, და თამედროვე ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო სისტემები, კერძოდ ავტომატური გადამუშავებისათვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობები.

სტატია 2

კონტრაქტორმა მხარეებმა ზეგავლენა უნდა იქონიოს ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებზე კონვენციის 3-7 სტატიების თანახმად.

სტატია 3

ცხოველები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ საცხოვრებელით, საკვებით, წყლითა მოვლის მეთოდით, ჯიშის სახესხვაობიდან, განვითარების დონიდან, ადაპტაციიდან და საცხოვრებელთან შემგუებლობიდან გამომდინარე, რაც შესაბამისობაში უნდა იყოს მათ ფიზიოლოგიურ და ეთოლოგიურ საჭიროებასთან, სამეცნიერო ცოდნისა და გამოცდილების თანახმად.

სტატია 4

1. ცხოველთა შეგუება თავისუფალ გადაადგილებასთან, დამკვიდრებული მეცნიერული ცოდნისა და გამოცდილების შესაბამისად არ უნდა იყოს შეზღუდული, რათა არ მივაყენოთ ცხოველებს ტანჯვა ან რაიმე სახის ზიანი.

2. თუ ცხოველები სისტემატიურად დაბმულ პირობებში იმყოფებიან, მეცნიერული ცოდნისა და გამოცდილების თანახმად მათ ეძლევათ შესაბამისი ადგილი/სივრცე ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროებების შესაბამისად.

სტატია 5

დამკვიდრებული მეცნიერული ცოდნისა და გამოცდილების თანახმად, ცხოველებს, რომლებიც დაბინავებულნი არიან უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი განათებით, ტემპერატურით, ტენიანობით, ჰაერის ცირკულაციით, ვენტილაციით და სხვა გარემო პირობებით, გაზის კონცენტრაციით ან ხმაურის ინტენსივობით, მათი ჯიშობრივი სახესხვაობის, განვითარების დონის, ადაპტაციისა და საცხოვრებელთან შემგუებლობიდან გამომდინარე, მათი ფიზიოლოგიური და ეთოლოგიური საჭიროებებიდან გამომდინარე.

სტატია 6

ცხოველი არ უნდა იყოს უზრუნველყოფილი საკვებისა და სითხის მიწოდების ისეთი მეთოდით ან თვით ისეთი საკვებით ან სითხით რაც მას ზიანს მიაყენებს.

სტატია 7

1. თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემების პირობებში ცხოველთა შენახვისას დაცული უნდა იყოს მათი ჯანმრთელობის პირობები და მათი შემოწმება უნდა განხორციელდეს თუნდაც ერთხელ დღეში.

2. თანამედროვე ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სისტემებში დღეში ერთხელ მაინც უნდა შემოწმდეს ტექნიკური მოწყობილობები და რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს მისი გამოსწორება მინიმალურ დროში. თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია დაუყოვნებლივ, მაშინ აუცილებლად უნდა შევუქმნათ ცხოველებს ყველა სხვა საჭირო პირობები მათი კეთილდღეობისთვის.

თავი II – დეტალური შესრულება

სტატია 8

1. კონვენციის ძალაში შესავლელად ერთი წლის განმავლობაში უნდა შეიქმნას მუდმივ მოქმედი კომისია.

2. ყოველ კონტრაქტორ მხარეს მუდმივმოქმედ კომიტეტში უნდა გაანდეს წარმომადგენლის არჩევის უფლება. ევროსაბჭოს ყველა წევრი ქვეყანა, რომელიც არ წარმოადგენს კონვენციის კონტრაქტორ მხარეს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ კომიტეტში ჰყავდეს თავისი თარმომადგენელი მეთვალყურის სახით.

3. ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა აუცილებლობის შემხვევაში უნდა მოიწვიოს მიდმივმოქმედი კომიტეტი ან თუ ამას მოითხოვენ კონტრაქტორი მხარეების წარმომადგენლების უმრავლესობა ან ევრო ეკონომიკური გაერთიანების წარმომადგენლები, რომლების თავისმხრივ წარმოადგენენ კონტრაქტორი მხარეს.

4. მუდმივმოქმედი კომისიის შეხვედრების ჩასატარებლად კონტრაქტორი მხარეების წარმომადგენლების უმრავლესობამ უნდა შეადგინოს ქვორუმი.

5. მუდმივმოქმედმა კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ხმათა უმრავლესობით, ასევე საჭიროა ხმათა ერობლიობა შემდეგისთვის:

ა. რეკომენდაციების დასამტკიცებლად რაც განხილულია მე-9 სტატიის 1 პარაგრაფში;

ბ. ზედამხედველების დასამტკიცებლად რაც განხილულია ამავე სტატიის 2 პარაგრაფში;

გ. 13 სტატიაში განხილული რეპორტის დასამტკიცებლად; აღნიშნული რეპორტი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს განხვავებული შეხედულებით.

6. მუდმივმოქმედმა კომიტეტმა კონვენციის პირობების დაცვისათვის უნდა ჩამოაყალიბოს პროცედურების საკუთარი წესები.

სტატია 9

მუდმივმოქმედი კომიტეტი პასუხისმგებელი უნდა იყოს კონტრაქტორი მხარეების რეკომენდაციების შემუშავებასა და მიღებაზე, ამ პრინციპების შესრულების დეტალური პირობების წარდგენა, რაც განხილულია ზემოაღნიშნული კონვენციის I თავში, და დაფუძნებულია ცხოველთა სახესხვაობების სამეცნიერო ცოდნაზე.

2. მიმდინარე სტატიის 1 პარაგრაფში მოცემული ვალდებულებების შესრულების მიზნით მუდმივმოქმედმა კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს სამეცნიერო კვლევებში მიმდინარე მოვლენებითა და მეცხოველეობის ახალი მეთოდებით.

3. თუ მუდმივმოქმედი კომიტეტი გატაწყვეტილებას ვერ ღებულობს ძანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაშინ რეკომენდაციები ძალაში შევა კომიტეტის დამტკიცებიდან 6 თვის შემდეგ. რეკომენდაციების ძალაში შესვლის შემდეგ კონტრაქტორმა მხარეებმა უნდა დაიწყონ მისი შესრულება ან ევროსაბჭოს გენერალური მდივნის საშუალებით შეატყობინოს მუდმივმოქმედ კომიტეტს მიზეზი თუ რატომ არ მოხერხდა რეკომენდაციები განხორციელება და შესრულება.

4. თუ ორი ან მეტი კონტრაქტორი მხარე ან ევრო-ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც თავისმხრივ წარმოადგენს კონტრაქტორ მხარეს, მიიღებს შეტყობინებას, მიმდინარე სტატიის 3 პარაგრაფის თანახმად, თავისი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შესახებ, მაშინ რეკომენდაციას შეუწყდება უფლებამოსილება.

სტატია 10

მუდმივმოქმედმა კომიტეტმა უნდა გამოიყენოს ნებისმიერი მცდელობა სირთულეების უპრობლემოდ დასაძლევად, თუ იგი წამოიჭრება კონტრაქტორ მხარეებს შორის ამ კონვენციის შესრულებისას.

სტატია 11

მუდმივმოქმედმა კომიტეტმა კონტრაქტორი მხარის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია წამოაყენოს თავისი შეხედულებები ცხოველთა დაცვის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

სტატია 12

ყოველ კონტრაქტორ მხარეს უფლება აქვს ჩამოაყალიბოს ერთი ან მეტი ორგანო, რომლისგანაც მუდმივმოქმედი კომიტეტი მოითხოვს ინფორმაციას და მისცემს რჩევებს მათი საქმიანობის წარმართვის ხელშესაწყობად. კონტრაქტორ მხარეებს ამ ორგანოების სახელითა და მისამართით შეუძლიათ იურთიერთობონ ევროსაბჭოს გენერალურ მდივანთან.

სტატია 13

მუდმივმოქმედი კომიტეტი უნდა დაექვემდებაროს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან 3 წლიანი ვადის ან ყოველი შემდგომი 3 წლიანი პერიოდის გასვლის შემდეგ და წარადგინოს კონვენციის მუშაობისა და ფუნქციონირების შედეგი და საჭიროების შემთხვევაში წარადგინოს წინადადებები კონვენციაში შესწორებების შეტანის მიზნით.

თავი III – საბოლოო პირობები

სტატია 14

1. კონვენციის ხელმოწერა ღია უნდა იყოს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნებისთვისა და ევრო-ეკონომიკური გაერთიანებისათვის. ის უნდა წარმოადგენდეს რატიფიკაციის ან მიღების სუბიექტს. რატიფიკაციის ან მიღების ინსტრუმენტები შემთავსებული უნდა იყოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

2. კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს 6 თვის შემდეგ რატიფიკაციისა ან მიღების 4 ინსტრუმენტის დადგენის თარიღიდან ან ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების დამტკიცებიდან.

3. ხელმომწერი მხარის რატიფიკაციისა ან მიღების შემთხვევაში კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს 6 თვის შემდეგ, მიმდინარე სტატიის მე-2 პარაგრაფის თანახმად, რატიფიკაციისა ან მიღების ინსტრუმენტის დადგენის თარიღიდან.

სტატია 15

1. კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევრო საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უფლება აქვს მოიწვიოს შესათანხმებლად ნებისმიერი არა წევრი ქვეყანა.
2. მსგავსი წევრების მოწვევა ხორციელდება ევროსაბჭოს გენერალური მდივნის მიერ წევრად მიღების ინსტრუმენტების დადგენიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 16

1. კონტრაქტორი მხარეები რატიფიკაციის ინსტრუმენტების შეტანისას ან წევრად მიღების შემთხვევაში ხელის მოწერისას აუცილებლად აღნიშნავენ იმ ტერიტორიას ან ტერიტორიებს სადაც მიღებული იქნა კონვენცია.
2. ყოველი კონტრაქტორი მხარის მიერ რატიფიკაციის ინსტრუმენტების დადგენა და მიღება დეკლარაციის თანახმად მიმართული უნდა იყოს ევროსაბჭოს გენერალური მდივნისადმი, კონვენციის გაერცობა ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე უნდა იყოს დეკლარაციაში აღნიშნული და ასევე მითითებული თუ ვინ არის პასუხისმგებელი საერთაშორისო ურთიერთობებზე ან ვისსზე არის პასუხისმგებლობა გადაბარებული.
3. დეკლარაციის ზემოაღნიშნული პარაგრაფები მიუხედავად მასში აღნიშნული ტერიტორიისა შესაძლებელია გამოწვეულ იქნას უკან ამავე კონვენციის 17-ე სტატიით დადგენილი პროცედურების თანახმად.

სტატია 17

1. კონტრაქტორმა მხარეები უფლებამოსილია კონვენციის თაობაზე ბრალდება წაუყენოს ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს.
2. მსგავსი ბრალდება ძალაში უნდა შევიდეს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების/უწყების მიღებიდან 6 თვის შემდეგ.

სტატია 18

ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა აცნობოს საბჭოს წევრ ქვეყნებს და საბჭოს არაწევრ კონტრაქტორ მხარეებს შემდეგი:

- ა. ნებისმიერი ხელმოწერა;
- ბ. ნებისმიერი რატიფიკაციის ინსტრუმენტი ან მიღება;
- გ. კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი 14-ე და მე-15 სტატიის თანახმად;
- დ. ნებისმიერი დეკლარაციის მიღება მე-9 სტატიის 1 პარაგრაფის თანახმად;
- ე. ნებისმიერი უწყების მიღება და ბრალდების ძალაში მიღების თარიღი მე-9 სტატიის მე-3 პარაგრაფის თანახმად;
- ვ. ნებისმიერი ურთიერთობა მე-12 სტატიის თანახმად;
- ზ. ნებისმიერი მიღებული დეკლარაცია მე-16 სტატიის მე-2 და მე-3 პარაგრაფების თანახმად;
- თ. ნებისმიერი შეტყობინების/უწყების მიღება და მისი ძალაში შესვლის თარიღი მე-17 სტატიის თანახმად.

ხელმოწერილი უნდა ადასტურებდნენ რომ პასუხისმგებელი არიან კონვენციის ხელმოწერაზე.

მიღებულია სტრასბურგში 1976 წლის 10 მარტს, იგლისურ და ფრანგულ ენაზე, ორივე ტექსტი ერთნაირია და ერჯერადი კოპია რჩება ევროსაბჭოს არქივში. ევროსაბჭოს გენერალულმა მდივანმა დამოწმებული კოპიო უნდა გადასცეს ყველა ხელმოწერ მხარეს.